თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7579838

ნომერი: AR11102395

თარიღი : 29.07.2025

გაცემის თარიღი : 05.08.2025

გაცნობის თარიღი : 05.08.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინიძე , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინიძე , N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ საბანაძე პ/ნ 01008045612
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, კორპუსი 10, ბინა 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 29 ივლისს №AR11102395 განცხადებით მომართა ზურაბ საბანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 19 მაისის №7483780 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 19 მაისის №7483780 ბრძანებით, №01.17.01.027.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2025 წლის 19 მაისის №7483780 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობთან დაკავშრებით დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ±0.000 ნიშნულის გეგმაზე „ა-ბ“ ღერძებში მდებარე 3.1 კვ.მ. ფართობი წარმოადგენს საზაფხულო ფართობს, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად გამორჩენილია საზაფხულო ფართობის ჯამურ მაჩვენებელში.

სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 19 მაისის №7483780 ბრძანებით შეთანხმებული დოკუმენტაციის, მათ შორის გეგმა-ნახაზებისა და ფასადების მიხედვით, ±0.000 ნიშნულის გეგმაზე „ა-ბ“ ღერძებში მდებარე 3.1 კვ.მ. ფართობი თავისი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, არ წარმოადგენს საზაფხულო ფართობს, შესაბამისად აღნიშნული ნიშნულის გეგმაზე საზაფხულო ფართობის ჯამურ მაჩვენებელთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის მიერ შეთანხმებულ ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა ±0.000 ნიშნულის გეგმაზე საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 19 მაისის №7483780 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.